ბალანსის მეთოდს გამოვიყენებთ,  
რათა მოვაგვაროთ პრობლემა,  
რომელიც წარმოიქმნება  
შეკავშირების წერტილებს შორის-  
შორს გაზომილი სექციებით (განივი  
კვეთების აზომვების ჩატარება  
რეკომენდირებულია რაც შეიძლება  
ახლოს შეკავშირების  
წერტილებთან, გადაფარვების  
გარეშე).

მას შემდეგ, რაც HECRAS-ში  
შევიტანთ ყველა მონაცემს,  
მომხმარებლის ინტერფეისი უნდა  
გამოიყურებოდეს ისე, როგორც  
ნაჩვენებია სურათ 26-ზე.



16.2.2. მანძილი რიონი ზედა (Rioni Upper) და რიონი ქვედა (Rioni Lower) სეგმენტებს შორის (376.54მ).

**Junction Data - RioniHR\_reach**

Junction Name: Junction 1  
Description: Division Upper into Lower and LowerPoti

Length across Junction From:	Junction Length (m)	Tributary Angle (Deg)
To: Rioni - LowerPoti	380.91	30
To: Rioni - Lower	376.54	

Steady Flow Computation Mode:  
 Energy  
 Momentum  
 Add Friction  
 Add Weight

Unsteady Flow Computation Mode:  
 Force Equal WS Elevations  
 Energy Balance Method

Buttons: OK, Cancel, Help, Accept edits and close

სურათი 26: შეკავშირება 1 მონაცემთა შეტანა

**Junction Data - RioniHR\_reach**

Junction Name: Junction 2  
Description: Junction 2: Lower to LowerLeft & LowerRight

Length across Junction From:	Junction Length (m)	Tributary Angle (Deg)
To: Rioni - LowerRight	1029.54	35
To: Rioni - LowerLeft	898.38	35

Steady Flow Computation Mode:  
 Energy  
 Momentum  
 Add Friction  
 Add Weight

Unsteady Flow Computation Mode:  
 Force Equal WS Elevations  
 Energy Balance Method

Buttons: OK, Cancel, Help, Accept edits and close

სურათი 37: შეკავშირება 2 მონაცემთა შეტანა

17. გაიმეორეთ ყველა პროცედურა მეორე შეკავშირებისთვის.

17.1 შეიტანეთ აღწერა და დარჩენილი ინფორმაცია. პროცესის ბოლოს შეტანილი ინფორმაცია უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც ნაჩვენებია სურათ 27-ზე. თუ გათვლის მომენტის მეთოდი არაა შერჩეული, კუთხეები პროგრამას არ მიეწოდება. ეს არაა პრობლემა. სურათ 27-ზე ნაჩვენებია ინტერფეისის საბოლოო სახე.

## სასაზღვრო და საწყისი პირობები.

ჰიდრაულიკური მოდელის წარმატებით გათვლა თუ წარუმატებლობა ასევე უკავშირდება სასაზღვრო პირობებს boundary conditions (BC). ჩვენთვის მდინარის სისტემა შედგება ორი განსაკუთრებული გარემოსგან: ის მდინარის სისტემა, რომელსაც ვაანალიზებთ (ვაანალიზებულ სისტემა) და ჩვენს მიერ ვაანალიზებულ სისტემაზე გარე ფაქტორების ზეგავლენა. სისტემის ანალიზი ხდება გარე ფაქტორებისგან იზოლაციაში, მაგრამ ამავე დროს სასაზღვრო პირობების დადგენისას სავალდებულოა იმ გარე ძალების და ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ შესასწავლ მდინარის სისტემაზე.

ამ სავარჯიშოში ორი სიტუაციური ანალიზი განიხილება: დამყარებული და დაუმყარებელი დინება.

დამყარებული დინებაში მოიაზრება, რომ მდინარის სისტემის ნებისმიერ სექციაში ხარჯი მუდმივია დროის ნებისმიერ მომენტში. ორი განივი კვეთს შეიძლება ჰქონდეს ხარჯის განსხვავებული მაჩვენებელი, მაგრამ ეს მაჩვენებელი რჩება უცვლელი დროის გარკვეული ინტერვალის განმავლობაში. დამყარებული დინების ანალიზის დროს ითვლება, რომ წყლის უცვლელი რაოდენობა შედის მდინარის სისტემაში დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იქამდე, მანამ სისტემა არ დასტაბილიზირდება (შემაგალითება=გამავალი). ითვლება, რომ სისტემის ყველა სექტორს, რომელსაც აქვს უნარი მიიღოს წყალი, ივსება. შესაბამისად დამყარებული დინების ანალიზი კარგად ასახავს ჰიპოთეტურ გრძელვადიან, ხანგრძლივი წყალდიდობას. ამავე მიზეზის გამო დამყარებული დინების ანალიზი არ გამოიყენება პიკური ხარჯის ანალიზის დროს, ვინაიდან შედეგად შეიძლება მივიღოთ წყალდიდობის უსაფუძვლოდ გადამეტებული შეფასება. (წყალდიდობა უფრო ხანმოკლეა, ვიდრე დრო პიკური ხარჯის სტაბილიზირებისას)

დაუმყარებელი დინების ანალიზი სრულდება სისტემაში დინების ტალღების სიმულაციისთვის (ჰიდროგრაფი). ეს არის სტანდარტული ანალიზი, რომელიც ტარდება დატბორვისას.

საწყისი პირობები უკავშირდება იმ ხარჯს, რომელიც გვაქვს სიმულაციის საწყის მომენტში (დრო 0). ხშირია, როდესაც სისტემას ამუშავებენ დამყარებული დინების მოდელით რამოდენიმე საათის ინტერვალისთვის, იქამდე მანამ დაუმატებენ დაუმყარებელი დინების ტალღური ფრონტის მოდელს. ეს აცილებს მოდელს გარკვეულ არასტაბილურობისგან. დამყარებული დინების შედეგები, ასევე, შეიძლება გამოიყენოთ, როგორც საწყისი პირობება დაუმყარებელი დინების ანალიზისთვის.

## დამყარებული დინების ანალიზი

HECRAS-ში არსებობს ოთხი სახის სასაზღვრო პირობა დამყარებული მდგომარეობისთვის: ცნობილი წყლის ზედაპირი (Known water surface), კრიტიკული სიღრმე (critical depth), საშუალო სიღრმე (normal depth) და ხარჯის მრუდი (rating curve).

სისტემის გასავალი არის შავი ზღვა. შავ ზღვაში წყლის დონეზე ზეგავლენას ახდენს მიმოქცევა, ასევე მიმოქცევის ამპლიტუდა გარკვეულ წილად უკავშირდება ოკეანეში წყლის დონის ცვალებადობას. წყლის დონის განსაზღვრა, შესაბამისად არის გამართლებული და საჭირო ორივე, დაუმყარებელი და დამყარებული ანალიზის შემთხვევაში.

ზედადინებაში რამოდენიმე “სექმის” (“profiles”) შერჩევაა შესაძლებელი. “სექმა” არის ხარჯის მაჩვენებელი, წყლის ის რაოდენობა, რომელიც შედის სისტემაში ზედადინების სექციაში და რომელიც მომხმარებელმა შეარჩია პრიორიტეტის მიხედვით. ყოველი “სექმა” მუშავდება პროგრამულ უზრუნველყოფის მიერ დამოუკიდებლად: თუ თქვენ დაამატებთ ოთხ “სექმას”, გვექნება ოთხი დამოუკიდებელი პროგრამის გაშვება ოთხი დამოუკიდებელი შედეგით, ასევე მომხმარებელს შეუძლია გამოსახოს შედეგები ერთდროულად, რათა შეადაროს ისინი ერთმანეთს. როგორც წესი, “სექმა” არის ხარჯი, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა განმეორადობის პერიოდებს.

ბოლო წლებში მდინარე რიონზე შეინიშნება წლის მაქსიმალური ხარჯის მაჩვენებლის ზრდა, რაც სტატისტიკურ მონაცემებში აისახება. ჩანაწერები ხელმისაწვდომია 1939 წლიდან 1990 წლამდე.

ამ მაგალითში ჩვენ ვუთითებთ 6 “სქემას”, ვიწვებთ 500 მ<sup>3</sup>/წ და ვასრულებთ 3000მ<sup>3</sup>/წ, 500მ<sup>3</sup>/წ-ის ბიჯით.


18. HECRAS-ში შეარჩიეთ დილაკი “დამყარებული დინების მონაცემების რედაქტირება/შეტანა” (Edit/Enter steady flow data). მომხმარებელმა უნდა წაიკითხოს სახელმძღვანელო ამ ეტაპის განსახორციელებლად.

19. ინტერფეისი მოითხოვს “სქემების” რაოდენობის და დინების მანველებლის მითითებას ყოველი შენაკადისთვის. დავუშვათ, რომ მდინარე რიონის ზედა დინებაში, შემოდის ხარჯის ფიქსირებული რაოდენობა (მაგალითად 500მ<sup>3</sup>/წ), ამ რაოდენობის გადანაწილება ქვედა დინებასა და ფოთის დინებას შორის დამოკიდებულია სისტემის ჰიდრაულიკაზე ან/და ადამიანის ზემოქმედებაზე. იგივე მეორდება მეორე შეკავშირებისთვის ქვედა და ქვედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა გაწვდომებს შორის. მომხმარებელს აქვს ორი არჩევანი:

19.1. დაავადგინოთ დინება ყოველი გაწვდომისთვის (წინაპირობით)

19.2. შევაფასოთ დინება ყოველ გაწვდომაზე და მივცეთ HECRAS-ს საშუალება მოახდინოს ჰიდრაულიკის ოპტიმიზაცია დინების სწორი გადანაწილებისთვის ყოველი შეკავშირების წერტილში.

ჩვენ განვიხილავთ ორივე შესაძლებლობას, დინება ყოველ გაწვდომაზე საჭიროებს მონაცემების შეტანას.



დაშვებები დინების დანაწევრებისას.

დამყარებული დინების და შეკავშირების შემთხვევაში, შემავალი წყლის რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს სისტემიდან გასული წყლის რაოდენობას. ჩვენ შემთხვევაში  $Q_{in} = Q_{out1} + Q_{out2}$


გაწვდომაში, ყოველი დამოუკიდებელი 'i' მონაკვეთისთვის  $Q_i = A_i \cdot V_i = \text{მუდმივი}$ . ვინაიდან მდინარე სუბკრიტიკულია და დახრის კუთხე უმნიშვნელოა, იმისთვის, რომ დაავადგინოთ დინების დანაწევრება ვუშვებთ, რომ დინების სიქარე სამივე სექციაში ერთნაირია. ამ დაშვებით ვიღებთ  $A_{in} = A_{out1} + A_{out2}$

მხოლოდ ამ სავარჯიშოს ფარგლებში, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქვედამარჯვენა (LowerRight) და ქვედამარცხენა (LowerLeft) განშტოებებს აქვთ იდენტური განივი კვეთები და ქვედაფოთის (LowerPoti) ზონა (Lower reach) წარმოადგენს დინების 20%-ს, ხოლო ზედა შენაკადი 80%-ს. შესაბამისად, თუ “X” არის დინება მდინარე რიონის სისტემის ზედა დინებაში,  $0.2 \cdot X$  მიედინება მდინარე რიონი ფოთში და  $0.8 \cdot X$  მიედინება ქვედა რიონში და  $0.5 \cdot 0.8 \cdot X$  ორივეში, ქვედა მარჯვენა და ქვედა მარცხენა გაწვდომაში.

მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს დაშვება ნებისმიერ დროს



მონაცემების შეტანის ბოლოს, ინტერფეისი გამოიყურება შემდგენიარად (სურათი 29): დილაკი “დამატე დინების ცვლილების ადგილმდებარეობა” (Add Flow Change Location) საშუალებას გვაძლევს დაამატოს ან გააუქმოს ხარჯი ნებისმიერ შერჩეულ ადგილას. ეს საშუალებას გვაძლევს მცირე შენაკადების ან წყალგასაყარების სიმულაციისას თავი ავარიდოთ ფორმალური პარამეტრების შეყვანას.



სურათი 29: შერჩეული დამყარებული დინების პირობები ამ სავარჯიშოსთვის. მომხმარებელს შეუძლია შეცვალოს დამყარებული დინების პირობები ნებისმიერ დროს.

**20. დამყარებული დინების (Steady Flow Data) მონაცემების ინტერფეისიდან შეარჩიეთ გაწვდომის სასაზღვრო პირობების (Reach Boundary Conditions) დილაკი.**

შიდა სასაზღვრო პირობები (შეკავშირება) უკვე დადგენილია და მზაა. დარჩა მხოლოდ ქვედადინების სასაზღვრო პირობების (შავი ზღვა) მითითება და ზედადინების სასაზღვრო პირობების დადგენა რიონის ზედადინების გაწვდომისთვის.

- თუ სისტემა სრულიად სუბკრიტიკულია, მაშინ ზედადინების სასაზღვრო პირობები არაა საჭირო.
- თუ სისტემა სრულიად სუპერკრიტიკულია, მაშინ ქვედადინების სასაზღვრო პირობები არაა საჭირო.
- თუ სისტემას ახასიათებს სუბკრიტიკული და სუპერკრიტიკული სექციები, ორივე სასაზღვრო პირობასავალდებულო.

როგორც წესი, მომხმარებელმა უნდა დაუშვას რომ სისტემა არის სუბკრიტიკული, თუ ფერდობის დახრილობა ძალიან მცირეა (მაგალითად <1%). ნებისმიერ შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია დაუშვას ნებისმიერი რეჟიმი და პროგრამის გაშვების შემდეგ გადაამოწმოს, იყო თუ არა ეს დაშვება მართებული და მოითხოვს თუ არა შესწორებას.

ამ შემთხვევაში სრულიად ნათელია, რომ მდინარე რიონის შესასწავლის ეგემენტი სრულიად სუბკრიტიკულია და შესაბამისად ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ ქვედადინების სასაზღვრო პირობების მითითება.

ოთხი პარამეტრის გარდა, ჩვენ უნდა დავადგინოთ წყლის დონე შავ ზღვაში და მივუთითოთ ის ქვედა-მარჯვენა (LowerRight) ბოლო განივ კვეთში, ქვედა-მარცხენა (LowerLeft) ბოლო განივკვეთში და ქვედაფოთის (LowerPoti) გაწვდომის ბოლო განივკვეთში.

მაღალი წყლის დონე შავ ზღვაში ნიშნავს, რომ შექცეული წყლის რაოდენობა მეტია, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს სისტემაზე და დრენაჟი გაძნელებულია. შესაბამისად ეს სასაზღვრო პირობა მნიშვნელოვანია წყალდიდობის ანალიზის დროს.


ჩვენ ვუთითებთ სასაზღვრო პირობებს (BC) ნულოვან დონეზე და +0.3მ (განსხვავებულ გათვლებში) როგორც მაგალითი.

სურათი 30: გვიჩვენებს, თუ როგორია დამყარებული დინების სასაზღვრო პირობები. შიდა საზღვრები დადგენილია. მომხმარებელს მოეთხოვება დაამატოს სასაზღვრო პირობები ქვედადინების მიმართულებით, თუ ჩვენ მივიჩნევთ მას სუბკრიტიკულად.

სურათი 31 გვიჩვენებს ინტერფეისის რომელიც ჩნდება “ცნობილი წყლის ზედაპირი” (Known W.S.)- დილაკზე დაჭერისას. წყლის სიმაღლე (ასოლუტური სიმაღლე პროექტის დატუმთან მიმართებაში, როგორც განივ კვეთებში არის მოცემული).

პროგრამის პირველი გაშვებისას ჩვენ ვუთითებთ ნულოვან სიმაღლეს ყველაფრისთვის, შემდეგი გათვლებისთვის ვუთითებთ +0.3 მ-ს.

მას მერე, რაც სასაზღვრო პირობები დადგენილია, ინტერფეისი უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც ნაჩვენებია სურათ 32-ზე.



მას მერე, რაც პროგრამას მივაწოდეთ დინების მონაცემები, შეიძლება მათი შენახვა "დამყარებული დინების ინტერფეისის" (Steady Flow Data) ფანჯარაში: "ფაილი-შეინახე როგორც" (File-Save As) და დინების მონაცემებისთვის მიუთითოთ სწორად შერჩეული სახელი (i.e. BC\_steady00).

მეორე დინების პირობის მონაცემთა კონდიცია (Flow Data Condition) დამყარებული დინების პირობებში არის ზევით განხილულის მსგავსი, ერთი განსხვავების გარდა: ქვედა დინების სასაზღვრო პირობა არის +0.5, 0-ის მაგივრად.

**რჩევა:** დროის ეკონომიის მიზნით, გასხენით "დამყარებული დინების მონაცემების" (Steady Flow Data) ფანჯარა და მიეცით ბრძანება "შეინახე როგორც" (save as) და მიუთითეთ სხვა სახელი, რომელიც გამოხატავს ახალ სასაზღვრო პირობას. შემდგომში გასხენით ახალშექმნილი მონაცემთა ფაილი და ქვედადინების მონაცემი შეცვალეთ +0.5-ზე.

21. **“დამყარებული დინების მონაცემთა” (Steady Flow Data)** მენიუში აირჩიეთ **ფაილი-შეინახე დინების მონაცემები როგორც” (File-Save Flow Data as)** და მიუთითეთ შესაბამისი სახელი ახალი დინების მონაცემისთვის, მაგალითად (BC\_steady05).  
მხოლოდ ერთი ცვლილებაა შესატანი: გაწვედომის სასაზღვრო პირობა ქვედადინებისთვის.
22. დააჭირეთ **“გაწვედომის სასაზღვრო პირობის” (Reach Boundary Condition)** ღილაკს.
23. ორჯერ დააჭირეთ ყოველ **“ცნობილ წყლის ზედაპირი” (Known WS)** ქვედადინების სასაზღვრო პირობებში და შეცვალეთ 0 – 0.5-ით.
24. მას მერე რაც შევიტანეთ ცვლილება, შეინახეთ დამყარებული დინების მონაცემები **(Steady Flow Data) ფაილი-შეინახე (File-save).**

ამ პროცესის ბოლოს ორნაირი **“დამყარებული დინების მონაცემების” (Steady Flow Data)** გათვლა იქნება შესაძლებელია HecRas-ის გამოყენებით.

აღწერილი მეთოდის გამოყენება: პროექტის შენახვა სხვა სახელით, შემდგომ ცვლილებების შეტანა და მის საფუძველზე სხვა სცენარის აგება შესაძლებელია HecRas-ში. ეს მეთოდი დროის ეკონომიას ემსახურება და შესაძლო შეცდომებისგან თავის არიდების კარგი საშუალებაა.

დაუმყარებელი დინების ანალიზი

წამალაშვილი(2010) შეისწავლა ჰიდროგრაფის ხელმისაწვდომი მონაცემები, და წყალდიდობების განმეორადობა, იხილეთ ცხრილი 7.

ხარჯის ანათვლების აღება ხდებოდა დღიურად. საათობრივი ან/და უფრო ხშირი დროის ინტერვალით აღებული ხარჯის მონაცემები შეიძლება დაგვეწოდეს, რათა გავითვალთ მაქსიმალური შესაძლო ხარჯის პიკი, რაც წარმოქმნის ხარჯის უკუარ ზრდას. ამ სავარჯიშოში ჩვენ ვიმუშავეთ 10 წლის ჰიდროგრაფის მონაცემებთან, რაც ნაჩვენებია იქნება შემდგომში.

დაუმყარებელ დინებისთვის, HecRas-ში მოიაზრება რამოდენიმე ტიპის სასაზღვრო პირობა. რაც შეეხება დაბლობში განვითარებულ მდინარეებს და არხებს, ყველაზე გავრცელებული სასაზღვრო პირობების ტიპებია: წყლის დონის ჰიდროგრაფი, ხარჯის ჰიდროგრაფი, წყლის დონის-ხარჯის ჰიდროგრაფი, ხარჯის მრუდი და საშუალო ხარჯი.

ზედადინების სასაზღვრო პირობა არის დინების ჰიდროგრაფი და გამოიყენება რიონის ზედადინების (Upper reach) ზედა სექციაში.

25. შეარჩიეთ ღილაკი **“დაუმყარებელი დინების რედაქტირება/შეტანა”** **“Edit/Enter unsteady flow data”** გამოჩნდება დაუმყარებელი დინების რედაქტირების ფანჯარა. მას შემდეგ რაც თქვენ დააჭერთ ნებისმიერ სასაზღვრო პირობის ღილაკს, გააქტიურდება შესაძლებელი სასაზღვრო პირობის ბრძანებები.

26. შეარჩიეთ რიონის ზედადინების (Rioni-Upper) სასაზღვრო პირობები და შემდეგ გააქტიურებული დინების ჰიდროგრაფის (Flow Hydrograph) ბრძანება.

მოვლენის ზუსტი თარიღი როგორც ასეთი არაა მნიშვნელოვანი, მაგრამ უკეთესია პროგრამას მივაწოდოთ რეალური დრო მთელი პროექტის განმავლობაში.

წყალდიდობა მოხდა 31.01 და 11.02 ინტერვალში და ჩვენ ავიღებთ ამ თარიღებს მოვლენებისთვის.

days	1987 Observed Discharge m <sup>3</sup> /s	10	25	50	100	200
1	236	191	226	253	279	305
2	276	223	265	296	326	357
3	780	632	750	837	923	1010
4	2120	1718	2038	2275	2510	2745
5	3640	2951	3500	3907	4311	4714
6	1720	1394	1653	1846	2037	2227
7	1550	1256	1490	1663	1835	2007
8	1060	859	1019	1137	1255	1372
9	1270	1029	1221	1363	1504	1644
10	1100	891	1057	1180	1302	1424
11	660	535	634	708	781	854
12	530	429	509	568	627	686

ცხრილი 7: დანაკვირვები წყალდიდობა 1987 წ. და დადგენილი განმეორადობის ინტერვალის (წამალაშვილი, 2010). გაითვალისწინეთ, რომ ჰიდროგრაფის მრუდი უკავშირდება ხელმისაწვდომ წყალდიდობას, რომელიც 1987 წელს მოხდა.

27. ხარჯის ჰიდროგრაფის მონაცემების მიწოდება:

27.1. მონაცემების შეტანის ბოლო ეტაპზე, ინტერფეისი უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც ნაჩვენებია სურათ 32-ზე. გაითვალისწინეთ, რომ საწყისი ხარჯის განმეორება ხდება ორჯერ, ვინაიდან მივიღოთ მოდელის სტაბილური სურათი მანამ შემოვა ტალღა.

ქვედა სასაზღვრო პირობების კონტროლი ხდება შავი ზღვის წყლის დონით.

ვინაიდან ბოლო განივი კვეთი არაა განლაგებული ზღვაში, სავარაუდოდ უკეთესია, შევარჩიოთ საშუალო სიღრმე, როგორც სასაზღვრო პირობის მანქანებიელი და არა ფიქსირებული წყლის დონე.

ამ მაგალითში, ჩვენ უნდა განვიხილოთ საშუალო სიღრმე 0.001 და შემდეგ შევცვალოთ წყლის დონე ფიქსირებული სიდიდით თუ მიღებული შედეგები არ იქნება დამაკმაყოფილებელი.

იდეალური შემთხვევა იქნება, თუ, განვაგრძობთ განივკვეთებს ზღვაში იმ დონემდე, მანამ არ დავრწმუნდებით, რომ მდინარის დინებას აღარ აქვს ზეგავლენა წყლის ცირკულაციაზე ზღვაში. ვინაიდან განივი კვეთები არ აღწევენ ზღვას, უნდა მოხდეს შერჩეული სასაზღვრო პირობების შერჩევა-ტესტირება.


28. შევარჩიოთ სამი სასაზღვრო პირობა ქვედადინებისთვის და მიუთითოთ “საშუალო სიღრმე” (normal depth) 0.001-ის ტოლი სამივე შემთხვევაში. ინტერფეისი ამ ეტაპზე უნდა გამოიყურებოდეს ისევე, როგორც ნაჩვენებია სურათ 34-ზე.

**ინფორმაცია:** ლილაკი “Add RS” საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეიტანოს პროგრამაში ჰიდროგრაფის მონაცემები, სტრუქტურა ან მისი დარღვევა სისტემის ნებისმიერ წერტილში. ეს პარამეტრი მუშაობს იგივე პრინციპით, რაც დამყარებული დინებისას შეგვხვდა. ამ ოპციის გამოყენებით შესაძლებელია მიწოდებული ან მიღებული წყლის დონის მონაცემების ნებისმიერი მექანიზმის სიმულაცია.

29. “**დაუმყარებელი დინების მონაცემთა**” (Unsteady flow Data) ფანჯრის ინტერფეისში, შევარჩიოთ “საწყისი პირობების” (Initial Conditions) ჩანაბატი. ჩვენ ვუშვებთ, რომ საწყისი პირობები, შტორმამდე გამოიყურება ისე, როგორც ნაჩვენებია სურათ 35-ზე.


სურათი 33: წყლის დინების ჰიდროგრაფი, შესატანი მონაცემები.

Date	Simulation Time (hours)	Flow (m3/s)
1	00:00	191
2	24:00	191
3	48:00	223
4	72:00	532
5	96:00	1718
6	120:00	2951
7	144:00	1394
8	168:00	1256
9	192:00	859
10	216:00	1029
11	240:00	891
12	264:00	535
13	288:00	429



სურათი 34: სასაზღვრო პირობები დამყარებელი დინების ანალიზისთვის, რომელიც შერჩეულია პირველი გაანგარიშების ჩასატარებლად.

River	Reach	RS	Boundary Condition	
1	Rioni	Upper	999	Flow Hydrograph
2	Rioni	LowerRight	350	Normal Depth
3	Rioni	LowerLeft	250	Normal Depth
4	Rioni	LowerPoti	94	Normal Depth




სურათი 35: სასაზღვრო პირობები დამყარებელი დინების ანალიზისთვის (დაშვებული).

River	Reach	RS	Initial Flow	
1	Rioni	Upper	999	191
2	Rioni	Lower	499	152.8
3	Rioni	LowerRight	400	38.2
4	Rioni	LowerLeft	300	76.4
5	Rioni	LowerPoti	100	76.4

**მოდელის ბაზმება და შედეგების ანალიზი.**

**დამყარებული დინება**

30. იმისთვის, რომ გავუშვათ HecRas-ი დამყარებული დინებისთვის, შეარჩიეთ “შეასრულე დამყარებული დინების სიმულაცია” (perform a steady flow simulation) ღილაკი



სურათი 36: დამყარებული ანალიზის გაშვების ინტერფეისი.

31. მას მერე, რაც გამოჩნდება “დამყარებული დინების ანალიზი” (Steady Flow Analysis) ინტერფეისი, შეარჩიეთ შესაბამისი გეომეტრიული მონაცემების ფაილი (geometry file) და დამყარებული დინების (steady flow) ფაილი: ერთი 0 სიმაღლისთვის და მეორე 50 სმ სიმაღლისთვის ქვედადინების ბოლოსთვის.

32. შეარჩიეთ “სუბკრიტიკული დინების რეჟიმი” (Subcritical flow regime) და დააჭირეთ “გადათვლის” (compute) ღილაკს. გადათვლას დასჭირდება წამები.

**შედეგების ანალიზი**

ღრმა ანალიზი მოითხოვს დროს და შედეგების გადამოწმებას. ამ სავარჯიშოს ფარგლებში მონაცემების ასეთი სრული განხილვა არაა დაგეგმილი.

- შესამოწმებელი პარამეტრების შემცირებული სიაა:
- დინების რეჟიმის (სუბკრიტიკული) შერჩევის ადეკვატურობის გადამოწმება.
  - ყურადღებით გადაათვალიერეთ შეცდომების, გაფრთხილებების და შენიშვნების (errors, warning and notes) შედეგობრივი ფაილი. გვხვდება შეცდომები რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ესენია: განივი კვეთების დამატების მოთხოვნა და ცვლილებების მოთხოვნა გადაზიდვების გათვლებში.
  - გადაამოწმეთ შერჩეული განივი კვეთების შესაბამისობა.
  - გადაამოწმეთ სასაზღვრო პირობების შესაბამისობა.




- e. გადაამოწმეთ განივი კვეთების გავრცობის შესაბამისობა. ზოგი განივი კვეთი შეიძლება გაიჭიმოს ვერტიკალურად (წარმოქმნას “კედელი” მაღალი ხარჯის დროს) რათა მოდელს მიეცეს საშუალება გადაითვალოს წყლის დინება. ეს დაუშვებელია.
- f. მოდელის კალიბრაცია ხელმისაწვდომი მონაცემების გამოყენებით: ხარჯის მრუდის ან/და წყლის ნიშნულების დახმარებით. ამ პროცესმა შეიძლება მოითხოვოს დამატებითი დაზუსტებები მაგალითად: სტრუქტურების დამატება.
- g. მოთხოვნისდამიხედვით შეიტანეთ ცვლილებები ანალიზში

ქვევით მოცემული ყოველი ქმედების განსაზღვრება.

დინების რეჟიმის გადამოწმება

დინების რეჟიმის გადამოწმება შეიძლება მოხდეს რამოდენიმენაირად:

- დააჭირეთ ღილაკი **“განივკვეთების გადათვალიერება” (view profile)HR-ის** ძირითად ინტერფეისში გამოისახება იგივენაირად როგორც სურათ 37-ზე. შესაძლებელია გაწვდომების და განივი კვეთების (ამ შემთხვევაში 6-მდე) დამატება შესაბამისი ღილაკის გამოყენებით.
- **ბრძანება “პარამეტრების ცვლადების” (options-variables)** გამოყენებით გადამოწმეთ არის თუ არა შერჩეული კრიტიკული სიღრმე. თუ კრიტიკული სიღრმის ხაზი წყლის დონეზე ქვევითაა რომელიმე მონაკვეთზე, მაშინ დინების რეჟიმი სუბკრიტიკულია. ზოგჯერ HecRas-ი არ გვიჩვენებს კრიტიკული სიღრმის ხაზს, ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც შედეგების შეუთავსებლობას არ აქვს ადგილი. შესაბამისად, თუ კრიტიკული სიღრმის ხაზი არაა ნაჩვენები, ესეიგი გათვლები უშეცდომოდაა განხორციელებული.
- სხვა პარამეტრია: **“აჩვენე შედეგების მიმოხილვა ცხრილის სახით” (view summary output look up tables).** ცხრილი აჯამებს განივი კვეთების რამოდენიმე ჰიდრაულიკურ მახასიათებელს. ბოლო სვეტში ნაჩვენებია ფროუდეს რიცხვი დინებისთვის (არხისთვის). დარწმუნდით, რომ ის (ფროუდეს რიცხვი) ყველგან **1-ზე** ნაკლებია.



სურათი 37: გრძივი პროფილი შეიძლება გამოყენებულ იქნას არარეგულარობის დასადგენად და დინების რეჟიმის კორექტირებისთვის.

შეცდომები, გაფრთხილება და შენიშვნა.

ძირითადი მენიუდან შეარჩიეთ ღილაკი **“შეცდომების, გაფრთხილების და შენიშვნების შეჯამება” (Summary of errors, warnings and notes).** ამ ეტაპზე სავალდებულოა წავიკითხოთ შესაბამისი სექცია HecRas-ის სახელმძღვანელოში (11-3). თუ ადგილი აქვს შეცდომებს, პროგრამა შეწყვეტს მუშაობას. წავიკითხეთ გაფრთხილებები ძალიან დიდი ყურადღებით, მაგრამ მათი არსებობა არ მიგვითითებს სავალდებულო ცვლილებებზე და ქმედებებზე. შენიშვნები გვიჩვენებენ იმას, თუ როგორ მიდისმოქმედებს მოდელი.

თუ ადგილი აქვს ენერჯის უეცარ ცვლილებას ორ განივ კვეთს შორის 70 ან 140%-ით და/ან სხვა უეცარი ცვლილება შეინიშნება გადაზიდვის გათვლების მანევრებლებში (არარეგულარული სექცია), მაშინდამატებითი განივი კვეთების მიწოდებაა საჭირო. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ უნდა ჩატარდეს დამატებითი აზომვები. HecRas-შიგათვალისწინებულია რამოდენიმე ოპცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დამატებითი განივი კვეთების ინტერპოლაცია. (განხილულია ქვევით).

შეცდომას გვიჩვენებს ყოველი პროფილისთვის, ვინაიდან შედეგებს HecRas-ი განიხილავს დამოუკიდებლად.

განვივი კვეთების ინტერპოლაციის შესაძლებლობები.


HecRas-ს აქვს შესაძლებლობა გეომეტრიული ინტერპოლაციის, რათა ხელგონურად შექმნას იმაზე მეტი განვივი კვეთი, ვიდრე ველზე გასვლისას იყო მოპოვებული. ინტერპოლირებული განვივი კვეთების გაუქმება შეიძლება ნებისმიერ დროს. ინტერპოლაციას უზრუნველყოფს როული ალგორითმი, რომელიც ახდენს გათვლას ორ განვივ კვეთს შორის. შესაძლებელია როგორც გეომეტრიულ ინტერპოლაციის, ასევე ხორკლიანობის ინტერპოლაციის შესრულება.

მომხმარებელი ირჩევს მაქსიმალურ დაშორებას ორ სექციას (განივ კვეთს) შორის დაამ გათვლების განხორციელება შესაძლებელია ორ სექციის, გაწვდომის, ქვეგაწვდომისთვის თუ მთელი მდინარისთვის.

კერძოდ, როდესაც ხდება ინტერპოლაცია ორ განვივ კვეთს შორის, მომხმარებელს შეუძლია “გაწვეიტოს” ინტერპოლაცია სექციებს შორის. რაც საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ დამატებითი ცდომილებების შეტანას მოდელში, რომელიც იქნებოდა გამოწვეული ავტომატური ინტერპოლაციით.

სურათ 38 და სურათ 39-ზე ნაჩვენებია HecRas-ში ხელმისაწვდომი ინტერპოლაციის ბრძანებები. არჩევითი ინტერპოლაციის ჩატარება ხელს უწყობს მოდელის გაძლიერებას.

სურათი 40 სურათი 41 და სურათი 42 გვიჩვენებენ ინტერპოლირებული განვივი კვეთების გამოსახვის ორ ოპციას. გაითვალისწინეთ, რომ ეს არის 1 განზომილებიანი მოდელი და აღნიშნული გამოსახვის მეთოდი მხოლოდ ვიზუალიზაციისთვის გამოიყენება. გამოთვლები ნებისმიერ შემთხვევაში იდენტურია.



მომხმარებელს შეუძლია გააერთიანოს განვივი კვეთები, ჩაატაროს ახალიგანგარიშებები და გააკონტროლოს შეცდომები და გაფრთხილებები.

განივ კვეთების ადეკვატურობის  
გადამოწმება

HecRas-ი არის მძლავრი პროგრამული უზრუნველყოფა და ზოგჯერ ხელოვნურად ცვლის გაანგარიშებებს, რათა მიეცეს საშუალება დაასრულოს პიდრავლიკური გათვლის პროცესი. ინფორმაცია, HR-ის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ცვლილების შესახებ, მომხმარებელს მიეწოდება გაფორმების სახით.


სურათი 43 გვჩვენებს 988 საგუშაგოს რიონის ზედა სექციაში. პირველი განივი კვეთისთვის (500მ<sup>3</sup>/წ) მდინარე მიედინება განივი კვეთის არეში.

იგივე სურათი 43-ზე, მე-4 პროფილისთვის (2000მ<sup>3</sup>/წ) მდინარე სცდება მარცხენა ჯებირს. ესარის შეუძლებელი, ვინაიდან 270.85მ-ზე, ჯებირის სიმაღლე არის 6.12მ, მნიშვნელობა 0.12მ მეტით მეტია, ვიდრე წყლის სიმაღლე. ეს არის HecRas-ის სტანდარტული ქცევა. წინაპირობის მიხედვით, HR-ი ტბორავს იმ ტერიტორიას, რომლის სიმაღლე ნაკლებია წყლის დონეზე, ამისდამიუხედავად სექციებს შორის კავშირი არ უზრუნველყოფს დატბორვის პროცესს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მომხმარებელმა უნდა დააფიქსიროს


ჯებირის სიმაღლე განივ კვეთზე იმ კონკრეტულ წერტილში. სურათი 44 გვჩვენებს HecRas-ის გაანგარიშებებს მაშინ, როდესაც პროგრამას იუკვე მიეწოდა ინფორმაცია ჯებირის სიმაღლეზე. მე-4 პროფილში აღარ გვაქვს წყლის გავრცელება მარცხენა ნაპირზე. იმისთვის, რომ დაგაფიქსიროთ ჯებირის სიმაღლე, მომხმარებელმა უნდა შეარჩიოს განივკვეთზე წერტილი, სადაც განლაგებულია ჯებირი, “გეომეტრიულ მონაცემთა რედაქტორის” (Geometric data editor) ფანჯარაში. შემდეგ საჭიროა განივი კვეთის რედაქტირება და ჯებირის დამატება “ჯებირის პარამეტრის” (option-levee) გამოყენებით. იხილეთ სურათი 45.

მე-6 პროფილისთვის (3000 მ<sup>3</sup>/წ) მარცხენა ნაპირი იტბორება. საჭიროა ამ განივი კვეთის გაჭიმვა იმ წერტილამდე, სადაც დატბორვას აღარ ექნება ადგილი, ვინაიდან აგეგმილი განივი კვეთი არაა საკმარისად გრძელი და პროგრამული უზრუნველყოფა “აშენებს” ხელოვნურ წყლის კედელს განივი კვეთის ბოლოს, რაც არ შეესაბამება რეალობას.

ეს მიანიშნებს იმაზე, რომ აგეგმარების ჩატარება საჭიროა განმეორებით ამ განივი კვეთის ნაწილისთვის. ეს განივკვეთი არაა გამოსადეგი და საჭიროებს ლატერალური დაცვითი კონსტრუქციის მითითებას, მაგალითად ჯებირის მითითებას.



სურათი 43: სამი პროფილი (სცენარი), წარმოდგენილია ერთ განივ კვეთში. პირველი სცენარისთვის წყლის დონე რჩება კალაპტში. მე-4 და მე-6 პროფილებისთვის (სცენარიებისთვის) ხდება “ხელოვნური კედლის” აღმართვა მოდელის მიერ, მარცხენა ნაპირზე, გათვლების გასაგრძელებლად.



სურათი 44: იგივე სახის გათვლები, მაგრამ ახლა ჯებირების იდენტიფიკატორის გარეშე.

The screenshot shows the HEC-RAS software interface. On the left, there are several data tables:

Cross Section Coordinates	
Station	Elevation
1	0
2	80.2142
3	135.0433
4	175.2776
5	268.5167
6	274.5978
7	300.1385
8	315.0656
9	334.9706
10	336.399
11	337.8839

Downstream Reach Lengths		
LOB	Channel	ROB
2165.729	1844.135	1569.479

Manning's n Values		
LOB	Channel	ROB
0.05	0.035	0.05

The 'XS Levee Data' dialog box is open, showing the following fields:

	Left	Right
Station	268.5167	
Elevation	6.3	

The background plot shows a cross-section of the river channel with a levee structure. The x-axis is labeled 'Station (m)' and ranges from 200 to 700. The y-axis is labeled 'Elevation (m)' and ranges from 6 to 10. A blue shaded area represents the levee structure, and a red dot indicates the point being defined in the dialog box.

სურათი: ჯებირები აგებულია განიკვეთების რედაქტორში “პარამეტრები-ჯებირები” (option-levee), ოპციის გამოყენებით.

**სასაზღვრო პირობების კონტროლი**

ადეკვატური სასაზღვრო პირობების მითითება უმნიშვნელოვანესი ასპექტია წარმატებული მოდელის აგებისას. ზოგადად მომხმარებელს ურჩევნია მიუთითოს “საკვლევი რეგიონი” სასაზღვრო პირობებისგან მოშორებით. ამ შემთხვევაში ცდომილება შეინიშნება საზღვრებთან და მოდელის (სისტემის) შიდა, ცენტრალურ ნაწილს ექნება უკეთესი შედეგები, ნაკლები ცდომილებით. ამ მეთოდმა შეიძლება არ იმუშაოს იმ შემთხვევაში, თუ არცაა ხასიათდება დაბალი დაქანებით ან/და სუბკრიტიკული დინების შემთხვევაში, ვინაიდან უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს შებრუნებული წყლის ეფექტთან.

განხილულ შემთხვევაში, ქვედადინების სასაზღვრო პირობა არის წყლის დონე შავ ზღვაში. სავარჯიშოში წყლის დონედ მითითებულია სავარაუდო ერთეულები 0 და 5მ, ვინაიდან საშუალება გვაქვს დავაფიქსიროთ, რა განსხვავებას გვაძლევს წყლის დონის ცვალებადობა. რეალურ კვლევაში მიზანშეწონილია საჭირო აზომვების ჩატარება.

მომხმარებელი იძულებულია დაადგინოს წყლის ფიქსირებული დონე როგორც სასაზღვრო პირობა, ვინაიდან განივი კვეთების გაზომვა საჭიროა იმ ადგილამდე, სანამ წყლის დონის ცვალებადობა არ იქნება დამოკიდებული ხრჯზე. ეს შეიძლება იყოს ღრმად ზღვაში. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილებაა ხარჯის მრუდის მითითება, რაც კონკრეტულ კვლევაში იყო შეუძლებელი.

გაითვალისწინეთ, რომ წყლის დონის ფიქსირებული სიდიდის მითითებით, ჩვენ ვუშვებთ, რომ ქვედა დინების განივი კვეთში წყლის დონე არ იცვლება ხარჯის ცვალებადობასთან ერთად. შეცდომაა თუ ბოლო განივი კვეთი აგებულია ნაპირებს შორის და არაა ღია. ქვედადინების სასაზღვრო პირობები გავლენას ახდენენ გაანგარიშებების შედეგებზე. რჩევაა გაითვალისწინოთ რეალობასთან ახლომდგომი ხარჯის მრუდი (დაახლოებით) და შემდგომ შეადაროთ HecRas-ის მიერ გათვლილი მრუდი საველე სამუშაოების შედეგად მიღებულ მრუდთან. მოდელის კალიბრება და ლევალიზება შეიძლება მოხდეს დამოუკიდებელი გაზომვების დახმარებით. ამ კვლევაში ეს ინფორმაცია არაა ხელმისაწვდომი. ხარჯის მრუდების შედარება შეიძლება ჩაითვალოს უმოკლეს გზად გათვლების ლეგიტიმიზაციისთვის.

### დაუმყარებელი დინება

33. HecRas-ის დაუმყარებელი დინების რეჟიმში გაშვებისთვის შეარჩიეთ ღილაკი **“ჩაატარე დაუმყარებელი დინების სიმულაცია” (perform a unsteady flow simulation).**


სურათი 46 გვიჩვენებს დაუმყარებელი დინების ანალიზისთვის სავალდებულო მონაცემებს. გაითვალისწინეთ, რომ დღე და საათის მითითება საჭიროა და უნდა შეესაბამებოდეს ჰიდროგრაფის მონაცემებს.

ჰიდროგრაფის ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყოველი 24 საათისთვის. გათვლები ინტერპოლაცია ხდება ყოველი 10 წუთისთვის. HecRas-ი ახდენს 24 საათიანი ჰიდროგრაფის ინტერპოლაციას გათვლების განსახორციელებლად.

იმისდამიუხედავად, რომ განგარიშება ხდება 10 წუთიანი ინტერვალით, პროგრამა გვაწვდის გადათვლებს 6 საათიანი ინტერვალით, ისე როგორც მითითებულია ინტერფეისში. დაუმყარებელი დინების შემთხვევაში ჩვენ გვაქვს რამდენიმე პარამეტრი გამოთვლებისთვის.

მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს სხვადასხვა ტოლერანტობა, მეთოდი ხახუნის კუთხის გასათვლელად, ტესტირების სახით გაუშვას პროგრამა, რათა მოახდინოთ უკან შემოღწეული წყლის რაოდენობის ეფექტის ოპტიმიზაცია (რეკომენდირებულია, როდესაც ხდება წყლის ზღვაში შედინება). წაიკითხეთ სახელმწიფანელოს შესაბამისი თავი.

34. შეიტანეთ მონაცემები ისე, როგორც ნაჩვენებია სურათ 44-ზე და შემდეგ დააჭირეთ ღილაკი **“გათვლა” 9 compute).**



სურათი 46: დაუმყარებელი მდგომარეობის გათვლების ინტერფეისი.






სურათი წარმოადგენს “გრძივი პროფილის” (profile plot) ამონახაზს, სადაც დატანილია მარცხენა და მარჯვენა ნაპირების სიმაღლე რიონზე მომხდარი წყალდიდობების მაქსიმალურ წყლის დონესთან ერთად. ეს მიგვითითებს, რომ საჭიროა გარკვეული ძალისხმევების მიმართვა, რათამოსდეს წყლის მასის შეჩერება ლატერალურ სტრუქტურაში.

მომხმარებელმა უნდა გადაათვალიეროს ყოველი განივი კვეთის სექცია რათა გამოავლინოს კომპრომისული ჯგუხები ისევე, როგორც ეს მოხდა სურათ 43 და სურათ 44-ის შემთხვევაში. სექციები სადაც მომხმარებელს ხვდება წყლის ვერტიკალურ გაგრძელება არის კრიტიკული და მოითხოვს მომავალ ანალიზს.

ბევრ შემთხვევაში, სიმაღლე არაა მნიშვნელოვანი პრობლემა გაანგარიშებისთვის, მაგრამ სხვა ჰიდრაულიკური პარამეტრები წარმოშობენ პრობლემებს, მაგალითად სიჩქარე ან ენერჯია, რომელიც წარმოშობს ეროზიას.



სურათი 49: უდიდესი წყალდიდობის გრძივი კვეთის უკავშირდება ლატერალურ სტრუქტურების სიმაღლეს. გვიყვას ა რეფერენცე ოფ ტჰე ელევაციონ ოფ ტჰე ლატერალ სტრუქტურებს.


1-D მოდელს, ისეთს როგორც HecRas-ია, დეტალური ანალიზის განხორციელებისას აქვს რამოდენიმე შეზღუდვა. ერთგანზომილებიანი მოდელი ყოველთვის გამომდინარეობს შემდეგი დაშვებიდან: წყლის სიჩქარე განივი კვეთის სხვადასხვა მონაკვეთში ერთნაირია (კვეთის ზედა და ქვედა ნაწილში). როგორც ასეთი, პროგრამა გვიჩვენებს განივი კვეთის დინების საშუალო მაჩვენებელს.

მეორე სახის შეზღუდვა შემდეგია: მოდელი არის 1 განზომილებიანი და გაანგარიშება ხდება ისე, რომ მოდელი მდინარეს აღიქვავს ერთ, სწორ ხაზად, შესაბამისად განსხვავებები ენერჯიის დანაკარგში მდინარის მოხვევისას ან/და მუხრანებს შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული.

**36. შეარჩიეთ დილაკი “ზოგადი პროფილის ამოხაზვა” (View General Profile Plot).** სტანდარტული ამოხაზვის ოპციიდან შეარჩიეთ “სიჩქარე” (Velocity) და “გაწვდომიდან” (from Reaches), შეარჩიეთ ზედა (Upper), ქვედა (Lower) და ქვედა-ფოთი (LowerRight).

სურათი 50 გვიჩვენებს ჰიდრაულიკური მასხასიათებლების გრძივ პროფილს. ამ შემთხვევაში დინების სიჩქარე გრძივი კვეთი არ ხასიათდება თანდათანობითი გადასვლით, ვინაიდან გვჭირდება მეტი პროფილი.

გაითვალისწინეთ, რომ ეს ინფორმაცია არის მულტი-პერიოდული: გრაფიკი გვიჩვენებს განივი კვეთის მაქსიმალურ სიმაღლეს და არა მომენტალური სიდიდეს.



სურათი 50: ჰიდრაულიკური ცვლადების გრაფიკული მონაცემები. ამ შემთხვევაში მაქსიმალური სიჩქარე განივ კვეთში. აღსანიშნავია, რომ გათვლები შესრულებულია მხოლოდ განივი კვეთებისთვის და შესაბამისად ინტერპოლაცია არ იყო შესრულებული და გასაშუალოება მცდარია.

ამით მთავრდება HecRas-ის სავარჯიშოს ანალიზის სექცია. ბევრი პარამეტრი თუ ბრძანება დარჩა განსახილველი რომელთა განხილვაც მომავალში მოხდება.

მომხმარებელს ვურჩევთ, გადაათვალიეროს HecRas-ის სახელმძღვანელო, რათა მოიძიოს კონკრეტულად ის ბრძანებები თუ მახასიათებლები, რომლებიც მას დასჭირდება მომავალში პროექტების განსახორციელებლად.

## HecRas-ის ბანმასხვავებელი ნიშნები.

HecRas-ს აქვს იარაღების სრული კრებული რათა:

- გააერთიანოს, დაუკავშიროს ერთმანეთს მოდელის სხვადასხვა სტრუქტურები: ხიდები, წყალსადენები, საგუბარები და რთული ლატერალური სტრუქტურები.
- იმისთვის რათა გავაანალიზოთ შესაძლებელი გასაუმჯობესებელი სტრუქტურების აგების შედეგები, და შევადაროთ არსებულ სიტუაციას.

ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებულ საინჟინრო მახასიათებლებს და მოითხოვენ დიდ ყურადღებას, რათა მოხდეს მათი კორექტული მოდელირება.

მომხმარებელს მოვუწოდებთ HecRas-ის მეორე მაგალითის განხილვას დამყარებული დინების სიტუაციისთვის და ხიდის მოდელის (ერთი ხიდის) აგებას. მომხმარებელმა ამისთვის უნდა მიჰყევას HecRas-ის სახელმძღვანელოს მეორე მაგალითს.